

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის

სათათბიროს სხდომის

ო კ მ ი № 43

27.05.2015

სხდომას ესწრებოდა 13 წევრიდან 10 წევრი

დღის წესრიგი :

1.სტუდენტთა სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკთან დაკავშირებით (ნ.წერეთელი)

მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: პროფ. ნ.წერეთელი: მან სათათბიროს წევრებს გააცნო სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის დადგენილება №1473 სტუდენტების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანის შესახებ. აღნიშნა რომ სულ შემოსულია 83 სტუდენტის განცხადება. აქედან მხოლოდ ერთ სტუდენტს სანდრო მაჩაბერიძეს (ჯგ 4401) არ აქვს წარმოდგენილი ცნობა სამუშაო ადგილიდან, ხოლო ყველა დანარჩენის განცხადებას თან ახლავს შესაბამისი დამადასტურებელი ცნობა.

თავმჯდომარემ აღნიშნა აგრეთვე, რომ სტუდენტთა უმრავლესობა დასაქმებულია არაპროფილით. თუმცა სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მან სათათბიროს წევრებს შესთავაზა წინადადება ამ კატეგორიის სტუდენტებისთვისაც გაეწიათ რეკომენდაცია ინდივიდუალური გრაფიკის დანიშვნის შესახებ.

აზრი გამოთქვას: პროფესორები: ზ.ლომსაძე, დ. ნოზაძე, მ.მშვილდაძე, ზ. კოვზირიძე. მათ მხარი დაუჭირეს სტუდენტთა ინდივიდუალურ გრაფიკზე გადაყვანას.

დადგინეს: ინდივიდუალურ გრაფიკზე გადასაყვანად მიეცეს რეკომენდაცია ყველა იმ სტუდენტს, ვისაც წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: პროფ. ნ.წერეთელი: მან სათათბიროს წევრებს გააცნო აკადემიური საბჭოს 2015 წლის 24 აპრილის დადგენილება № 1506, რომელიც ეხება ლაბორანტ ნ. კანთელაძის განცხადებას დოქტორანტურაში სწავლის საფასურის გადახდიდან განთავისუფლების თაობაზე. აღნიშნული დადგენილებით, აკადემიური საბჭო ავალებს ფაკულტეტის საბჭოს განიხილოს ეს საკითხი და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მიმართოს აკადემიურ საბჭოს.

აზრი გამოთქვას: მენეჯერი გ. მჭედლიშვილი. აღნიშნა, რომ კანცლერმა გამართულ თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სტუდენტების მხრიდან სწავლების საფასურის გადახდის დაბალ მაჩვენებელზე და ამ მიმართულებით

გააქტიურებისკენ მოუწოდა მათ და მოითხოვა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებისგან თავის შეკავება. ვინაიდან ფაკულტეტს ფინანსურად ისედაც უჭირს და არც თანხა გვაქვს შესაბამის მუხლში, შესაძლებელია მხოლოდ სწავლის საფასურის გადავადება.

პროფესორები: ზ.ლომსაძე, მ.ხუციშვილი. მათ მხარი დაუჭირეს მენეჯერის წინადადებას.

დადგინეს: ეთხოვოს მენეჯერს შეუდგინოს დოქტორანტ ნ. კანთელაძეს სწავლების საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: პროფ. ნ.წერეთელი: მან სათათბიროს წევრებს წაუკითხა დოქტორანტ მარინე ყიფიანის განცხადება, რომელსაც მძიმე ოჯახური მდგომარეობისა და ფინანსური პრობლემების გამო, აკადემიურმა საბჭომ ორჯერ გადაუვადა სწავლის საფასურის გადახდა. იგი ამჟამადაც ითხოვს ფაკულტეტის რეკომენდაციას სტუ-ს აკადემიური საბჭოს წინაშე, რათა კვლავ გადაუვადდეს ფინანსური დავალიანება და მიეცეს საშუალება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ლ.გვასალია. მან აღნიშნა, რომ არსებობს სტუ-ს რექტორის ბრძანება, რომლის მიხედვითაც დავალიანების მქონე დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე. ჩვენ არ გვაქვს უფლება არ დავემორჩილოთ ამ ბრძანებას. ამასთან მიზანშეუწონლად მიიჩნია მსგავსი პრეცედენტის დაშვება, მითუმეტეს, რომ დოქტორანტს შეუძლია ამ ეტაპზე შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი და მოგვიანებით განახორციელოს დაცვა.

პროფ. ზ.კოვზირძე: აღნიშნა, რომ მსგავს ფინანსურ მოთხოვნებთან დაკავშირებით, აკადემიური საბჭოს წევრები ხშირად ვარდებით უხერხულ მდგომარეობაში, რადგანაც მსგავსი საკითხის განხილვისას ყოველთვის მწარედ გვახსენებენ ფაკულტეტის მწირ ბიუჯეტს და შემოვიდა წინადადებით სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ზაფხულის ნაცვლად განხორციელდეს მომავალი წლის თებერვალში ფინანსური დავალიანების ნაწილობრივ დაფარვის შემდეგ.

პროფ. მ.ხუციშვილი. მან მხარი დაუჭირა აკადემიური საბჭოს წევრების მოსაზრებას.

პროფ. ზ.ლომსაძე. აღნიშნა, რომ ფაკულტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციით არ ირღვევა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დებულება. მისი აზრით სათათბირომ უნდა გაითვალისწინოს დოქტორანტ მ. ყიფიანის განსაკუთრებულად მძიმე საერთო მდგომარეობა და მიეცეს რეკომენდაცია, რათა უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ იმსჯელოს მისი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თაობაზე.

პროფ. მ. მშვილდაძე. იგი მხარს უჭერს აკადემიური საბჭოს წევრების წინადადებას.

პროფ. დ.ნოზაძე. მან აღნიშნა, რომ დოქტორანტ მ. ყიფიანს მართლაც აქვს საერთო მძიმე მდგომარეობა და თუ პროცედურულად არაფერი არ ირღვევა იგი მხარს უჭერს მ. ყიფიანის დაცვაზე გასვლის რეკომენდაციას

დადგინეს: მწირე ბიუჯეტიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე გასვლასთან დაკავშირებით, ფაკულტეტმა ამ ეტაპზე თავი უნდა შეიკავოს ფინანსური დავალიანების მქონე დოქტორანტებისათვის ყოველგვარი რეკომენდაციის მიცემაზე.

დადგენილება მიღებული ხმათა უმრავლესობით.

მოისმინეს: პროფ. დ.ნოზაძე. მან აღნიშნა, რომ მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის ასოც. პროფესორმა რ. კანაშვილმა, დასაბეჭდად მოამზადა სახელმძღვანელო "ფერადი ლითონების ავტოკლავური ჰიდრომეტალურგია", რომელიც განკუთვნილია ფერადი მეტალურგიის მოდულისათვის.

პროფ. დ.ნოზაძის განმარტებით, ავტორი თხოულობს სახელმძღვანელოს დაბეჭდვისათვის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან 200 ლარის გამოყოფას.

აზრი გამოთქვს: მენეჯერი გ. მჭედლიშვილი, პროფ. ზ.ლომსაძე. მათ მხარი დაუჭირეს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან სახელმძღვანელოს დასაბეჭდად საჭირო თანხის გამოყოფას.

დაადგინეს: ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 200 ლარი სახელმძღვანელოს "ფერადი ლითონების ავტოკლავური ჰიდრომეტალურგია" (ავტორი რ.კანაშვილი) დასაბეჭდად.

დადგენილება მიღებულია ერთხმად

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

ნ. წერეთელი

მდივანი, პროფ.

მ. მშვილდაძე